ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1010810

ნომერი: AR1178407

თარიღი : 19.11.2013

გაცემის თარიღი : 25.11.2013

გაცნობის თარიღი : 25.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აწყური , N 70, N70ა, N72ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ გეთიაშვილი პ/ნ 01011003790
- აწყურის ქუჩა 23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშაოების განცორციელება შესაძლებლად მიაჩნია, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით მოეწყობა მოაჯირი.

ამასთანავე გაითვალისწინეთ:

1. ვინაიდან ხორციელდება არსებული კიბის რეკონსტრუქცია თქვენს მიერ დამატებით არჩეული უნდა იქნას დამატებით ახალი ნომენკლატურა I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები –ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი–ქმედება–რეკონსტრუქცია.

2."განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ საპროექტო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით, ან შესაძლებელია ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ატვირთულ იქნას "ფაილის მიმაგრების" გრაფაში.

3.ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში)ან ასევე შესაძლებელია ფართის მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად;

3. წარმოსადგენია ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

4 ..ფოტომონტაჟის ველში უნდა აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით დეტალური ზომების მასალისა და ფაქტურის მითითებით;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.